პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №_____

2026 წლის _____ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

2027 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 25 ნოემბრის N48-482632927 წერილი, რომლითაც ითხოვს **2027 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე**:**

1. მოწონებულ იქნეს „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის #96 დადგენილების შესაბამისად, 2027 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით (თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მ. უგლავა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი: გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რ.დიდავა

სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის, განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

#	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	დასახლება	ადგილმდებარეობა /მისამართი (ქუჩის ან უბნის სახელწოდება)	მდგომარეობის აღწერა	სამუშაოების ღირებულება (ლარი)
1	იმერეთი	წყალტუბო	სოფელ მაღლაკში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის წმენდა დაღრმავება და რკინა-ბეტონის ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა,	ოქონიის უბანი	სოფელ მაღლაკში მდინარე ოღასკურა, ოქონიის უბანში, სისტემატიურად მოსახლეობას აყენებს დიდ ზიანს, კერძოდ იტბორება სასაფლაო, საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები. სტიქიის თავიდან ასარიდებლად საჭიროა მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება, ამოწმენდა, დაღრმავება და რკინა-ბეტონის კედლების ს მოწყობა.	1,584,507.96
2	იმერეთი	წყალტუბო	სოფელ წყალტუბოში ე.წ. ,,თავუკუღმა ღელე''-ს კალაპოტის დაღრმავება, წმენდა გასწორხაზოვნება, გამსვლელი კოლექტორის რკინა-ბეტონით მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება	სოფ.წყალტუბო, ე.წ ,,თავუკუღმა ღელე''	სოფელ წყალტუბოში ე.წ. ,,თავუკუღმა ღელე'' იკვებება კარსტრული მღვიმეებით, ხშირი წვიმების დროს ხდება ადიდება რის შედეგად სისტემატიურად იტბორება მოსახლეობა, მისასვლელი გზა, საკარმიდამო ნაკვეთები. სტიქიის პრევენციის მიზნით საჭიროა კალაპოტის დაღრმავება, გასწორხაზოვნება, გამსვლელი რკინაბეტონის კოლექტორის მოწყობა.	300770.77
	ჯამი					1,885,278.7

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482632927**
თარიღი: **25/11/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, გიგზავნით 2027 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელ განსახორციელებელ საპროექტო წინადადებებს (დანართი თან ერთვის).

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები, საბოლოო სახით, განხილული და მოწონებული უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. პროექტებს გააჩნია შესაბამისი საექსპერტო დასკვნები.

გთხოვთ, განიხილოთ და მოიწონოთ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები.

დანართი: 1 (ერთი) ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი